# გურიის ერობის მოამბე

№ 21

ფასი 3 მანეთი

ერობის დემოკრატიული გაზეთი.

კვირა 20 ივნისი 1920 წელი ქ. ოზურგეთი.


ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულება

მუხლი 5.

აღიარებს რა სამართლიანათ რუსეთის მოთხოვნილებას, რომ არ იქნეს დაშვებული შემდეგში საქართველოს ტერიტორიაზე რაიმე სამხედრო ორგანიზაცია, არსებობა სამხედრო ძალთა და სხვა მოქმედებათა, რომელთაც შეუძლიათ საქართველოს ტერიტორიაზე შექმნან პირობანი დამუქრებისა რუსეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ან და საქართველოს ტერიტორიას გახდის სამხედრო ოპერაციების ბაზად, რომელიც მიმართული იქნება რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის, ან მასთან კავშირში მყოფ სახელმწიფოს და მასში არსებულ სახელმწიფოებრივ წესწყობილების წინააღმდეგ, საქართველო ვალდებულად ხდის თავს მოახდინოს;

1) დაუყონებლივ განიარაღება და კონცენტრაციულ ბანაკებში მოთავსება ამა საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერის დროს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფთა, თუ კი ასეთები აღმოჩნდებიან, ან სამხედრო და საზღვაო-სამხედრო ნაწილების, კომანდებისა და ჯგუფების, რომელნიც მომავალში შესაძლოა მის საზღვრებში გადავიდნენ და რომელნიც რუსეთის მთავრობის, ან მისი ნაწილის, ან და რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობის პრეტენდენტის როლში გამოვლენ, აგრეთვე წარმომადგენლობისა და თანამდებობის პირთა, ორგანიზაციებისა და ჯგუფებისა, რომელთაც მიზნათ ექნებათ რუსეთის, ან მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობის ძირს ჩამოგდება.

2) დაუყონებლივ განიარაღება და დაკავება საქართველოს ნავთსადგურებში მყოფ გემებისა, რომელიც შედის ამა მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ორგანიზაციებისა და ჯგუფების საზღვაო სამხედრო ძალთა შემადგენლობაში და აგრეთვე რომელიც ამა თუ იმ მოსაზრებით ამ ორგანიზაციების და ჯგუფების განკარგულებაშია და საქართველოს ნავთსადგურებში იმყოფება. ამ გემების ეკიპაჟის მიმართ სავსებით უნდა განხორციელდეს ამა მუხლის პირველი პუნქტის დადგენილება.

3) ყოველგვარ ჯილდოს მოუთხოვნელად და სრულებით ხელუხლებლად გადაეცეს რუსეთს ყველა სამხედრო და საზღვაო სამხედრო ქონება, ღირებულებანი და ფულის თანხები, რომელნიც ამა მუხლის პირველ მუხლში აღნიშნულ ორგანიზაციათა და ჯგუფების მფლობელობასა, სარგებლობასა, ან განკარგულებაში იმყოფება. ამ მუხლის თანახმად სამხედრო და საზღვაო სამხედრო ქონებად იგულისხმება: გემები და სხვა სანაოსნო საშუალებანი და არტილერიის, საინტენდანტოს მათ შორის (სასურსათო და ნივთიერი დაკმაყოფილების) საინჟინერო და საავიაციო მოწყობილობანი.

4) განიარაღების შემდეგ გადაეცეს რუსეთს ამა მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ნაწილები, ორგანიზაციები, ჯგუფები და გემების ეკიპაჟი.

შენიშვნა: რუსეთი პირობას იძლევა, რომ იგი ამ მუხლის ძალით გადაცემულ ყველა პირს სიცოცხლეს შეუნარჩუნებს.

5) მიღებულ იქმნას ზომები გასარეკავად საქართველოს ტერიტორიის საზღვრებიდან, რომელიც ამ ხელშეკრულების მეოთხე მუხლით არის განსაზღვრული. ყოველგვარი ჯარისა და სამხედრო რაზმების, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ჯარების შემადგენლობაში არ შედის.

6) მიღებულ იქმნას ზომები, რომ მომავალში არ გაუშვან საქართველოს ტერიტორიაზე იმ ჯარებისა და სამხედრო რაზმების არსებობა, რომელნიც ამა მუხლში მეხუთე პუნქტშია აღნიშნული.

7) იმ პირებს რომელნიც ამა მუხლის პირველსა და მეხუთე პუნქტში ჩამოთვლილ ორგანიზაცი-

13. ბახვის თემის საბჭოს შუამდგომლობა.

თავმჯდომარე ბ. ჩხიკვიშვილი აცხადებს, რომ ბახვის თემის საბჭოდან ყრილობის სახელზე შემოვიდა განცხადება, რომელშიდაც საბჭო პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ სამაზრო ერობის გამგეობამ უსამართლოთ გაავლო ხაზი ბახვისა და დვაბზუს თემთა შორის ს. ვაკისჯვარის დასავლეთის მხრის და შუამდგომლობს საერობო ყრილობის წინაშე, რათა ყრილობამ გააუქმოს გამგეობის დადგენილება და დანიშნოს საგანგებო კომისია ამ საკითხის მოსაგვარებლათ.

გამგეობის თავმჯდომარე ს. ჭანტურიშვილი ამ საქმის შესახებ აძლევს ყრილობას შემდეგ განმარტებას: წინა ყრილობის დავალებით გამგეობამ გამოარკვია სადაო საკითხი დვაბზუსა და ბახვის თემების ერთმანეთისაგან გამიჯვნის შესახებ, ორჯერ მოახდინა სადაო ადგილის ადგილობრივი დათვალიერება ტეხნიკის თან-ხლებით პირველათ ორთავე ამ თემის გამგეობათა თავმჯდომარეებისა და ზოგიერთ ხმოსნების თან—დასწრებით და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამ თემებს შორის გაავლო შემდეგი ხაზი: მსაზღვრელი ხაზი იწყება ვაკის-ჯვრის სკოლასთან მდებარე გორაკიდან გამოდის იქვე ბახვში მიმავალ გზაზე, მიუყვება ამ გზას იმ პატარა შუკა— გზამდე, რომელიც აერთებს ბახვში მიმავალ გზას ცხემლის ხიდზე—მიმავალ გზასთან აქედან მიუყვება ამ შუკა-გზას და გადის ცხემლის ხიდზე მიმავალ გზაზე

ყრილობა 10—ხმის უმეტესობით 5—წინააღმდეგ adgens: დადასტურდეს გამგეობის ზემოხსენებული დადგენილება ბახვისა და დვაბზუს თემებს შორის ს. ვაკის-ჯვრის მხრით საზღვრის დადების შესახებ.

14. ხმ. გუჯაბიძის განცხადება.

ხმ. გუჯაბიძე გადასცემს ყრილობას სუფსის თემის საბჭოს შუამდგომლობას, რომ ყრილობამ სუფსის თემზე გაწერილი სანიტარული გადასახადი 34.000 მან. შეამციროს. მომხსენებელი ამ შუამდგომლობას ასაბუთებს იმით, რომ სუფსის თემი მცირე რიცხოვანი თემია, წელს დიდათ დაზარალდა მოუსავლობის გამო და არ ძალუძს იმ 175.000 მან. გადახდა, რომელიც მასზეა გაწერილი.

ხმ. გურგენიძე მხარს უჭერს გუჯაბიძეს ამ განცხადებაში.

გამგ. წევრი გ. ბერეჟიანი ამტკიცებს, რომ სუფსის თემზე გაწერილი გადასახადი დიდი არ არის; როცა ეს გადასახადი იწერებოდა, ყრილობის განკარგულებაში იყო საკმაო სტატისტიკური ცნობები მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ და ამის თანახმად გაიწერა მაზე ხსენებული თანხა.

ყრილობა ხმის უმეტესობით უარყოფს სუფსის თემის შუამდგომლობას.

15. ხმ. ალშიბაიას განცხადება.

ხმ. ალშიბაია, გადასცემს რა ყრილობას ნიგოითის თემის საბჭოს შუამდგომლობას, რომ ყრილობამ დაავალოს ერობის გამგეობას—მოაწყოს ამ თემში წისქვილი, მხარს უჭერს ამ შუამდგომლობას და ამტკიცებს, რომ ნიგოითის თემის მცხოვრებნი დიდ გაჭირვებას განიცდიან უწისქვილობის გამო

გამგეობის თავმჯდომარე ს. ჭანტურიშვილი აცხადებს, რომ გამგეობას გადაწყვეტილი აქვს ნიგოითში წისქვილის მოწყობა და ამ მიზნით მას უკვე აქვს მიღებული სათანადო ზომები.

ყრილობა კმაყოფილდება ამ განცხადებით და სურვილს გამოსთქვამს, რომ რამდენადაც შეიძლება საჩქაროთ მოაგვაროს გამგეობამ ეს საქმე

16. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა.

გამგეობის 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ საზოგადო ხასიათის მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი გ. ბერეჟიანი, რომელიც ამბობს, რომ დღევანდელ პირობებში სისწორით გათვალისწინება ხარჯებისა ან შემოსავლის რაოდენობისა შეუძლებელი ხდება, ამიტომ შემოს-ვალ-გასავალი ჩვენ ნავარაუდევი გვაქვს დაახლოვებით დღევანდელი პირობების მიხედვით, ამიტომ შეიძლება ხარჯები ერთი სამათ გადიდდეს, შემოსავლის წყაროებიდან-კი ბევრი არ გაგვიმართლდეს, ბევრმა-კი მოლოდინსაც გადააჭარბოს; ამგვარი ვარაუდით ჩვენი ხარჯთ-აღრიცხვის ბალანსი გამოიხატება დაახლოვებით 45 მილიონ მანეთში

ხარჯთ-აღრიცხვის მუხლობრივ განხილვამდე, ყრილობა წინასწარ იხილავს ერობის მოსამსახურეთა შტატებს და ჯამაგირების მომატების საკითხს.

გამგეობის ხარჯები ამის შესახებ განხილული და გამგეობასთან ერთად შესწორებული საფინანსო კომისიის მიერ, ასეთია:

ერობის მოსამსახურეებს მიემატოს ჯამაგირებში 1 თებერვლიდან ა/წ. თანახმად დამფუძნებელი კრების მიერ 10 თებერვლის ა/წ. დეკრეტით მიღებული ნორმებისა ას მანეთამდე ციფრის დამრგვალებით მოსამსახურეთა სასარგებლოთ.

1—აპრილიდან კი ქვემო ჩამოთვლილი თანამდებობის პირთ—დაენიშნოს შემდეგი ჯამაგირები:

1, ინჟინერს, აგრონომს, (იგივე აგრ. განყ. გამგე) უმაღლესი განათლებით, სასკოლო, საექიმო და სავეტერინარო განყ.) იგივე ოზურგეთის უბნის ვეტერინარი) გამგეებს—8,000 მან., 2, უბნის ექიმებს—მედიცინისა და ვეტერინარებს სტაჟის მიხედვით—7.000—8000 მან., 3, მდივანს, სადგოლ-მამ. განყ, და ცენტრ. სააფთიაქო საწყობის გამგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებს და უბნის აგრონ. უმაღლესი განათლებით—7,000 მან., 4, სკოლების რაიონულ ინსტრუქტორს—6,500 მან., 5, მოლარეს, საშაზრო ტეხნიკს—5,000 მან., 6, უბნის ტეხნიკებს, ჰიდროტეხნიკს, ჩოხატაურის აფთიაქის გამგეს, რაიონულ აგრონ. ინსტრუქტორს, მებაღეს 4,500 მან., 7, საქმის მწარმოებელს, 1 ლი ხარ. მოანგარიშეს, არტელჩიკს, საადგილ-მამულ. განყ. ინსტრუქტორს, სამეურნეო ნაწილის ზედამხედველს, აგრონ. ტეხნიკს და მილიციის სამმართველოს მდივანს—4,000 მან. 8, ფერშლებს მედიცინისა და სავეტერინარო სტაჟი მიხედვით—4,000—5,000 მან., 9, მე-2 ხარ. მოანგარიშეს, საგრარო კომისიის წევრთ—3,500 მან., 10, მე-3 ხარ. მოანგარიშეს, მილიციის სამმართველოს საქმის მწარმოებელს 3,000 მან., 11, მანქანით გადამწერთ, გზის მეთვალყურეს, მილიციის სამმართველოს რეგისტრატორს—2.500 მან. 12, დარაჯებს და მსახურთ—2,300 მან. 13, გზის დარაჯებს—2,000 მან.

ბუჰგალტერს, მის თანაშემწეს სავაჭრო-სამრეწველო განყოფილების ყველა მოსამსახურეებს, გაზეთის მომუშავეს, აფთიაქის გამგის თანაშემწეს, შეგირდსა და რწმუნებულებს გამგეობა უნიშნავს ჯამაგირებს თავის შეხედულებით.

შემდეგში ერობის მოსამსახურეებზე გავრცელდეს ყველა ის მომატებები, რაც მიღებული იქნება დამფუძნებელი კრების მიერ სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეთათვის.

ხმ. ნ. წილოსანი წინაამდეგია 1 აპრილიდან ზოგიერთი თანამდებობის გამოყოფისა და მოითხოვს, რომ ყველა დარგის მოსამსახურეებზე გავრცელდეს დამატებები დეკემბრის თანახმად, ხოლო თუ ძირითად ჯამაგირეში რამე უთანასწორობა არის, ის შესწორდეს.

ხმ. რამიშვილი საფინანსო კომისიის სახელით იცავს წარმოდგენილს კომისიისა და გამგეობის მიერ ურთი-ერთ შორის შეთანხმებით შემუშავებულ პროექტს და ამბობს, რომ კომისია გამგეობასთან ერთად, როცა 1 აპრილიდან ზოგიერთ თანამდებობის პირთ, თითქმის ყველას, უმატებდა ჯამაგირს მეტ-ნაკლებ რაოდენობით, ხელმძღვანელობდა მოსამსახურის შრომისა და პასუხისმგებლობით: ორატორის აზრით, ამით უკვე მოხდა ერთგვარი შესწორება ძირითად ჯამაგირებისა და შემდეგში კი ასეთი საკითხი არც-კი უნდა დაისვას ყრილობაზე, არამედ გამგეობას უფლება უნდა ჰქონდეს მიავრობის ყველა მომატებანი, როცა ასეთები იქნება სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეთათვის, გავრცელდეს ერობის მოსამსახურეებზედაც.

ხმ. გოგუაძე ეთანხმება რამიშვილის [illegible] -ტებს, რომ გამგეობას უნდა [illegible] მიიღოს მოსამსახურეთა სურსათ-სანოვაგით უზრუნველ საყოფათ.

ხმ. ცეცხლაძე და ართმელაძე წინაამდეგნი არიან ერთის მხრით ამდენი მომატების და მეორეს მხრით ასე დიდი განსხვავებისა მაღალსა და დაბალ კატეგორიებს შორის და მოითხოვენ მათ შესწორებას.

ხმ. გურგენაძე ეთანხმება მათ და მოითხოვს, რომ, მთელი მოსამსახურეები დაყოფილი იქნან 3 კატეგორიით, გამომუშავდეს ამის მიხედვით ძირითადი ჯამაგირები და შემდეგ დაემატოს პროცენტები.

კამათი სწყდება.

თავმჯდომარე მოითხოვს წერილობითი წინადადებებს და ამ მიზნით 5-წუთით სწყვეტს სხდომას.

სხდომის განახლებისას ყრილობა ს.-დემ. ფრაქციის წინადადების თანახმად ერთხმად ადგენს: მოსამსახურეთა შტატებისა და ჯამაგირების მომატების საკითხის განხილვის დროს მიღებული იქნას საფუძვლად საფინანსო კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი, განხილული იქნას ის მუხლობრივად და თუ შიგ რამე შეცდომა ან მიზანშეუწონლობა აღმოჩნდება, იქნას შესწორებული.

სივიანის გამო ღამის 12 საათზე სხდომა სწყდება, გაგრძელება დაინიშნა მეორე დღის დილის 10—საათისათვის.

# თემთა ცხოვრებიდან

ქანქათის თემი.

1920 წელსა აპრილის 4 დღესა შესდგა ქანქათის თემის პირველი სხდომა. სხდომას დაესწრო 9 ხმოსანი. დროებით თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა მღ. ლავრენტი წულაძე, მდივნათ ევგენი მგელაძე. შემდეგ სხდომა ქანქათის თემის საბჭოს თავმჯდომარეთ დაფარული კენჭის ყრის საშუალებით ერთხმად აქნა აირჩია მღ. ლავრენტი წულაძე, ხოლო მდივნად ევ. მგელაძე. საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგად პავლე ნ. ვადაჭკორია. საბჭოს არჩევნების შემდეგ სხდომამ ერთხმად აირჩია თემის გამგეობის წევრები: თავმჯდომარედ გოგუაძე, გამგეობის წევრათ და მდივნათ სარდიონ გაბუნია, ხოლო მესამე წევრათ გამგეობისა—პროკოფი ოთ. მგელაძე. აგრეთვე საბჭომ მიიღო, რომ სანამ არჩევნები მოხდებოდეს, მოწვეულ იქნას საბჭოს სხდომაზე გადამწყვეტი ხმის უფლებით შემდეგი პირნი: 1. ვასილ გაბუნია, 2. გრიგოლ მახარაძე, 3, ივანე წითლიძე, 4 თეოფილე ხუნაიშვილი, 5, ლადიკო წულაძე და 6, ზაქრო წულაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### შემოქმედის თემი

16 მაისს 1920 წ. შემოქმედის თემის სამმართველოში შესდგა კრება მეომართა ოჯახების დამხმარე კომიტეტისა. კრებას თავმჯდომარეობდა თემის გამგეობის თავმჯდომარე ეპიფანე ცეცხლაძე, მდივნათ იქნა არჩეული იოსებ ვაშალომიძე. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები:

1) უბნის წარმომადგენელთა შემადგენლობა.

2) უბანში ფულის შეკრების და განაწილების მოწყობა და სხვა.

3) უბნის წარმომადგენელთა შემადგენლობის შესახებ გამოირკვა, რომ 1) გომის უბნიდან იქნება მღვდელი ბ. მახარაძე, 2) მეორე გონების კარიდან გრიგოლ გვარჯალაძე, 3) ფატარიდან ესე ჭანუყვაძე, 4) ქვედა მაკვანეთიდან იოსებ ვაშალომიძე, 5) ზედა-მაკვანეთიდან მოსე ბიჭიას-ძე ბაბილოძე, 6) გოგიეთიდან კალისტრატე ჭანუყვაძე, 7) შემოქმედიდან სამსონ გილოგრე, 8) წითელ-მთიდან დავით ერქომაიშვილი, 9) კვირიკეთიდან მიტო დოლიძე, უბნებში ფულის შეკრების და განაწილების შესახებ კრებამ დაადგინა: უბნებში ფულის შეგროვება ევალება უბნის წარმომადგენელს დაინტერესებულ პირთა და აგრეთვე იმ პირთა დახმარებით რომელთაც სოფელი მისცემს მათ. ფულები გროვდება თემის და კომიტეტის თავმჯდომარის მიერ ხელ-მოწერილ სიებით, რომელშიაც აღნიშნული უნდა იქნას, როგორც გადამხდელთა გვარი და სახელი ისე ფულის რაოდენობა. შეგროვილი ფულის სისტემატიურათ უნდა იგზავნებოდეს თემის კასაში დაგროვილი ფულის განაწილება მეომართა ოჯახებზე ხდება კომიტეტის და საუბნო შრომის კომისიის ხელმძღვანელობით.

გარდა ამისა კრებამ გამოსთქვა სურვილი პირველი დახმარება მიეცეს მეომართა ოჯახებს, რაც შეიძლება სასწრაფოთ, ამისათვის თვითეულ უბნის წარმომადგენელს ევალება რაც შეიძლება ჩქარა შეუდგეს ფულების შეგროვებას.

## კითხვა—პასუხი.

**კითხვა.**— გადატრიალებამდის ოპეკუნათ არის დანიშნული დედა. აქვს უძრავ-მოძრავი ქონება საზიარო ბიძასთან. ოპეკუნი მოითხოვს კანონიერ ამოყოფსა. ობლები უწლოვანოა. ვის უფლებას შეადგენს ამისი გამოყოფვა ობლების წლოვანებამდის.

პასუხი.— მცირე წლოვანების მონაწილეობა გასაყოფ მამულში—ქონებაში არ შეაჩერებს საერთო მამულის გაყოფას. მცირე წლოვანთა წარმომადგენლად საქმეში იქნება შესული მომრიგებელ მოსამართლის მიერ დადგენილი მეურვე. მამულის გაყოფის პროექტი წარედგინება მოსამართლეს, რომელიც განიხილავს პროექტს გაყოფისას და, უკეთუ აღმოჩნდა, რომ მამული გაყოფილია უწლოვანების საზარალოდ, არ მისცემს ნებას დამტკიცების გაყოფის პროექტი.

**კითხვა.**— ვის უფლება—მოსილებას შეადგენს იმ ობლების დედის ნამზითვის ქონებების მოვლა პატრონობა, თუ იმ ობლების მამა საათანადოთ ვერ უვლის და ფლანგავს.

პასუხი.— თუმცა ანდერძით არ არის დანიშნული მეურვე და ობლების მამა ფლანგავია, იმ შემთხვევაში დედის ქონებაზე მეურვედ დაინიშნება ის პირი, რომელსაც თემინ გამგეობა უყენებს საიმედოთ მომრიგებელ-მოსამართლეს. მეურვე ობლების ნათესავი იქნება თუ არა—ეს სულერთია.

## განცხადება.

მიმდინარე წლის ივნისის **27** შვა დღის **12** საათზე ოზურგეთის სამაზრო ერობის საადგილ-მამულო განყოფილებაში გაიცემა საჯარო ვაჭრობით მიმდინარე სეზონისათვის აგარაკ ბახმაროს სასადილო-რესტორანები და სხვა. ამისათვის ვისაც სურს აიღოს იჯარით აღნიშნული საზოგადო დაწესებულებები უნდა გამოცხადდენ თავის დროზე აღნიშნულ განყოფილებაში.

ჯანმრთელობის გამგეობა.

---

რედაქტორი—კოლეგია.

გამომცემელი—ოზურგ. სამაზრო ერობის გამგეობა.

სტამბა ალექ. ა. კალატოზიშვილისა. ქ. ოზურგეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებს, ჯგუფებსა და ნაწილებს ეკუთვნიან, რამდენადაც ეს პირები თავისი ეროვნებით არ არიან ქართველები; ალეკრძალოს რა სახითაც არ უნდა იყოს, მათ შორის მოხალისეთ, საქართველოს სახელმწიფო ჯარში შესვლა.

8) ტერიტორიის იმ საზღვრებში, რომელიც დადგენილია ამ ხელშეკრულების მეოთხე მუხლით, მომავალში არ მისცენ შედგენისა და არსებობის საშუალება რაიმე ორგანიზაციას და ჯგუფებს, რომელნიც თავის თავს აცხადებს რუსეთის ან მისი ნაწილის მთავრობათ, ან და რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოს როლში, აგრედვე არ მისცენ შედგენისა და არსებობის საშუალება წარმომადგენლებსა და თანამდებობის პირთ, ორგანიზაციებსა და ჯგუფებს, რომელთაც მიზნათ ექნებათ რუსეთის, ან მასთან კავშირში მყოფ სახელმწიფოთა მთავრობის ჩამოგდება.

ამასთანავე საქართველო ვალად იღებს არ დაუშვას ზემოაღნიშნულ ორგანიზაციების, ჯგუფების, წარმომადგენლობათა და თანამდებობის პირთა მიერ საქართველოს ტერიტორიით გატანა ყველაფერი იმისა, რითაც შეიძლება ისარგებლონ რუსეთზე ან და მის მოკავშირე სახელმწიფოებზე თავდასასხმელად. აგრედვე აეკრძალოს თავის ნავთსადგურებსა და წყლებში ამგვარ ორგანიზაციათა გემებისა და სხვა სანაოსნო საშუალებათა არსებობა, გარდა საერთაშორისო სამართლით დადგენილი შემთხვევისა იმ გემების მიმართ, რომლებიც იღუპებიან და სხვა.

9) იმ შემთხვევაში, თუ ამა მუხლის მერვე პუნქტში აღნიშნულ ორგანიზაციების, ჯგუფებისა, წარმომადგენლობისა და თანამდებობის პირთა მიერ მოხდება მერვე პუნქტში აღნიშნულ აკრძალვათა დარღვევის ცდა, იმ პირებსა და ქონებას, რომელიც საქართველოს მთავრობისაგან მის მიერ ამა მუხლის მერვე პუნქტით თავის თავზე მიღებულ ვალდებულების ძალით იქნება დაკავებული, ამა მუხლის მესამე და მეოთხე პუნქტებში აღნიშნულ პირობის თანახმად მოეპყრობიან.

მუხლი 6.

რუსეთი ვალდებულია არ მისცეს უფლება მის ტერიტორიაზე ყოფნისა და მოქმედებისა არავითარ ჯგუფსა და ორგანიზაციას, რომელიც საქართველოს მთავრობის ანუ მის ნაწილის მთავრობის როლს მიითვისებენ, და აგრედვე იმ ჯგუფებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც თავის მიზნად საქართველოს მთავრობის დამხობა ექნებათ დასახული. რუსეთი ვალდებულია იქონიოს სავსებით თავისი გავლენა მის მოკავშირე სახელმწიფოებზე, რათა მათ ტერიტორიაზე არ დაუშვან არსებობა ამ მუხლში აღნიშნულ ჯგუფისა და ორგანიზაციების.

მუხლი 7.

შესაძლო გაუგებრობის ასაცილებლად ორივე ხელშემკვრელი მხარე შეთანხმდა, რომ ამ ხელშეკრულების მეხუთე მუხლის მეხუთე და მეექვსე პუნქტების განხორციელების დროს საქართველოს ნაწილებში, რომლებიც მას უნდა შეუერთდნენ ამ ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, როდესაც მეზობელ სახელმწიფოებთან, რუსეთს გარდა, საზღვრები საბოლოოდ დაიდება, საქართველოს მხრივ ამ შემთხვევაში საჭირო ზომების მიღება უნდა გათავდეს უახლოეს დროში, მის მიერ ამა თუ იმ ტერიტორიაზე თავისი სახელმწიფოებრივი მეპატრონეობის ფორმალური განხორციელების შემდეგ.

მუხლი 8.

ამა ხელშეკრულების მეხუთე და მეექვსე სისწორით ასრულებისა და მეხუთე მუხლის მესამე და მეოთხე პუნქტებში აღნიშნულ პირთა და ქონების გადასაცემად—არსდება შერეული კომისია ორი მხრიდან თანაბარ წევრთა რიცხვით. კომისიის მუშაობის წესი თვით კომისიის მიერ გამომუშავდება. ამა ხელშეკრულების მეხუთე მუხლის მესამე და მეოთხე პუნქტებში აღნიშნულ პირთა და ქონების გადაცემა უნდა გათავდეს ამ ხელშეკრულების დადების დღიდან ორი თვის განმავლობაში.

მუხლი 9.

1) საქართველოს ჩამომავლობის პირთ, რომელნიც რუსეთის ტერიტორიაზე სცხოვრობენ და დაბადებიდან 18 წლის არიან შეუძლიათ საქართველოს ქვეშევრდომობა მოითხოვოს, აგრედვე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ არა ქართველთ, რომელნიც ზემოაღნიშნულ წლოვანებას მიაღწევენ, უფლება აქვთ რუსეთის ქვეშევრდომობა მოითხოვოს.

2) დაწვრილებით მხარე ამ მუხლის აღსრულების შესახებ დამტკიცებული იქნება განსაკუთრებულ შეთანხმებით ორივე ხელშემკვრელ მხარეს შორის.

3) ორივე ხელშემკვრელ მხარის მოქალაქენი, რომელთაც სურთ ისარგებლონ ამ მუხლით მინიჭებულ უფლებით, ვალდებულნი იქნებიან აღასრულონ სავალდებულო ფორმალობა ერთი წლის განმავლობაში ამა მუხლით მეორე პუნქტის თანახმად მომხდარ შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან.

მუხლი 10.

საქართველო ვალდებულია გაანთავისუფლოს სასჯელისაგან და აგრედვე შემდეგში სასამართლო ან ადმინისტრატიულ წესით დევნისაგან ყველა პირები, რომლებიც იდევნებოდენ საქართველოს ტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიტორიაზე რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის ან კომუნისტურ პარტიის სასარგებლო მოქმედებისათვის.

შენიშვნა. საქართველო ვალდებულია დაუყონებლივ გაანთავისუფლოს საპყრობილეთაგან ყველა პირები, რომლებსაც ბრალდებათ ზემოაღნიშნული ხასიათის მოქმედებანი.

მუხლი 11.

ყოველი შემკვრელი მხარე ვალდებულია იცნოს და პატივით მოეპყრას მხარეთა დროშას და ღერბს, როგორც მეგობარ სახელმწიფოთა ემბლემებს. დროშის და ღერბის ნიშნები ან ცვლილებანი, რომლებიც შესაძლებელია შეტანილი იქნეს შიგ, უნდა აცნობონ ერთმანეთს დიპლომატიური გზით.

მუხლი 12.

ეკონომიური დამოკიდებულებანი საქართველოს და რუსეთს შორის განისაზღვრება დროებით, ორ ხელშემკვრელ მხარეთა შორის განსაკუთრებულ ხელშეკრულების დადებაზე, რისთვისაც უახლეს დროში უნდა იქნეს მიღებული აუცილებელი ზომები, და რომელსაც უნდა დაედვას საფუძვლად ქვემო მოყვანილი საერთო დებულებანი.

1) ორივე ხელშემკვრელი მხარე ურთიერთ შორის სავაჭრო დამოკიდებულობას საფუძვლად უდებს უდიდეს ხელის შეწყობის პრინციპს.

2) იმ საქონელს, რომელიც მიაქვთ ერთერთ ხელშემკვრელ მხარეებიდან დანიშნულებისამებრ, მეორე მხარემ არავითარი სატრანსპორტო ბაჟი და გადასახადი არ უნდა დაადვას.

მუხლი 13

ხსენებულ ხელშეკრულების მე-12 მუხლში აღნიშნულ 1 და 2 პუნქტები უნდა დაედვას საფუძვლად სავაჭრო ხელშეკრულებას, რომელიც იმავე მე-12-ტე მუხლის ძალით უნდა დადებულ იქნას ორ ხელშემკვრელ მხარეს შორის.

მუხლი 14.

დიპლომატეური და საკონსულო დამოკიდებულებანი საქართველოს და რუსეთს შორის აღდგენილ იქნეს უახლეს დროში. ორ ხელშემკვრელ მხარეთა ურთიერთ შორის კონსულების დამოკიდებულების შესახებ განსაკუთრებულ შეთანხმების დადებამდე, რისთვისაც მიღებულ უნდა იქნეს ყოველ გვარი ზომა. მათი უფლებანი და ვალდებულებანი განისაზღვრებიან ამავე საგანზე ორ ხელშემკვრელ მხრის შორის არსებულ კანონმდებლობით.

მუხლი 15.

საჯარო უფლებრივი და კერძო უფლებრივი ხასიათის იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც აღიძვრება ორ ხელშემკვრელ მხარის მოქალაქეთა შორის, და აგრეთვე ზოგიერთა ცალკე საკითხების მოწესრიგება ორ სახელმწიფოს შორის დაევალება განსაკუთრებულ შერეულ ქართულ-რუსულ კომისიას, რომელიც დაარსდება უახლოეს დროში ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ.

შემადგენლობა, უფლება და ვალდებულებანი ამ კომისიისა განისაზღვრება განსაკუთრებულ ინსტრუქციით, რომელიც დამტკიცდება ცალკე კომისიისათვის ორ ხელშემკვრელ მხარის შეთანხმებით.

ხსენებულ კომისიებს დაევალება სხვათა შორის:

1) სავაჭრო და სხვა ეკონომიური ხასიათის შეთანხმების შედგენა.

2) მოწესრიგება საკითხებისა, რომელიც შეეხება ყოფილ ცენტრალურ არქივების საქმის ხაწარმოებელ დაწესებულებათაგან სასამართლო და ადმინისტრატიულ დეპოზიტების და აგრეთვე სამოქალაქო მდგომარეობის აქტების გამოყოფას.

3) გამორკვევა საკითხის ბათომ-ბაქოს ნავთსადენის იმ ნაწილის ჰფლობელობის განკარგულების და მოხმარების წესის შესახებ, რომელიც თანახმად ხსენებულ ხელშეკრულების მე-4 მუხლისა იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე. ეს საკითხი დამტკიცებული იქნება შემდეგ, საბოლოოდ, განსაკუთრებულ შეთანხმებით ორ ხელშემკვრელ მხარის შორის.

მუხლი 16.

ხსენებულ ხელშეკრულება შევა ძალაში თვით ფაქტის ძალით და ხელი მოწერის მომენტიდან, და საჭირო არ იქნება განსაკუთრებული რატიფიკაცია.

რის დასამტკიცებლად ორივე მხარის რწმუნებულებმა მოაწერეს ხელი და თავის ბეჭდები დაასვეს.

შედგენილია მოსკოვში 1920 წელს, 7 მაისს, ორ ეგზემპლიარად. გ. ურატაძე, ლ. კარახანი.

## წერილი ფრონტიდან

გურიის სახალხო გვარდიის ბათალიონის სახელით სალამს უძღვნის სამაზრო ერობის გამგეობას და თემებს. თქვენ ალბათ დაინტერესებული ხართ გაიგოთ თქვენი მებრძოლი შვილების მდგომარეობა, რომლებიც იარაღით ხელში გაემგზავრენ ბრძოლის ველისკენ, რომ სამშობლოს და მშობელ ერს დარაჯათ დაუდგენ. ჩვენც შევეცდებით მოკლეთ გაგაგებინოთ ჩვენი ყოფა-ცხოვრება. რამოდენიმე კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც რომ ჩვენ დროებით თქვენ დაგშორდით და მოვსწყდით ჩვეულებრივ მუშაობას და საქმიანობას. დღეს ჩვენ აღმოსავლეთის ფრონტზე ვიმყოფებით. აქ საწყენარეა: არ გაისმის ფრონტისთვის ჩვეულებრივი ზარბაზნე-

ცეცხლის, თოფების და ტყვიის მფრქვეველების ქექა-ქუხილი.

ეხლა აქ დროებით ზავია *) მარა ჩვენი საო-მარი სამზადისი წუთითაც არ შეგვისუსტებია. უნდა ვიყოთ მზათ, რომ ჩვენი რესპუბლიკა და მისი თავისუფალი განვითარება უზრუნველვყოთ. ჩვენ არა-ვის ვებრძვით, არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩვენ პირველათ ვინმესთვის ხმა აგვეტეხა: ჩვენ ვიცავთ ჩვენს არსებობას, თავისუფლებას და რევოლიუციის მონაპოვართ და ვინც ამ გზაზედ გადაგვეღობება მას ჩვენ არ დავინდობთ, ბრძოლას ბრძოლით უპასუხებთ. ამ გზას ადგია ჩვენი მთავ-რობა და ამიტომ ჩვენ ყოველივე მის ბრძანებას უსიტყვოთ ვასრულებთ.

იმ ადგილის ბუნება, სადაც ეხლა ჩვენ ვიმყო-ფებით არ წააგავს ჩვენი გურიის ბუნებას. აქ ძალ-ზე ცხელა, ეს ცოტა კი გვაწუხებს, მაგრამ ჩვენ მაინც მოვეწყვეთ, ისე როგორც ეს შეფერის ბრ-ძოლის ველს. ნაწილი ჩვენი გვარდიელებისა კარ-ვებში ცხოვრობს, ნაწილი კი მათ მიერ გაკეთე-ბულ მიწურებში. დღე სანგრებში ვართ, შემდეგ კი სხვა ნაწილები გვცვლის და დასასვენებლათ მოვდი-ვართ, მაგრამ ამ დასვენების დროსაც ჩვენ ფრო-ნტს არ ვივიწყებთ და ვმუშაობთ და ვამაგრებთ მას, რაიც გამოიხატება სანგრების და სხვა და სხვა სიმაგრეების გაკეთებაში. ჩვენი ბანაკი ყოველთვის მხიარულია, გაისმის გურული სიმღერები, რომე-ლიც მთელიც მთელ არე-მარეს სიცოცხლეს აძლევს. ერთი ჯგუფი მღერის—, მეორე ოხუნჯობს, მესამე ამხანაგებს გაზეთს უკითხავს.

საუცხოვო სურათია, გული იმედებით გევსე-ბა, რომ ხალხი წამოსული თავის სურვილით ამ მუშაობის დროს, დაშორებული თავის კერას, იცავს წმიდათა წმიდას თავისუფალ სამშობლოს, რომლისთვინაც მას სიცოცხლეც არ შურს. ყველა ამას ხედავს მღვრიე, შმაგი მდინარე, ხრამი, რომლის ჩქარი მიმდინარეობა სიცოცხლეს აძლევს მორჩილოს ფრთფეროვან ბუნებას.

ბანაკი თან და თან წყნარდება, ის დასვენე-ბას ეძლევა. მას მხოლოდ ღამის დარაჯები უდგა-ნან. გათენებისას ყველა ფეხზედ დგება, სიჩუმე ირ-ღვევა და იწყება ფრონტისთვის ჩვეულებრივი ცხო-ვრება. ასე გადის დღეები. ჩვენ დიდათ გვაინტე-რესებს თუ რა ხდება ზურგში, ვკითხულობთ გაზე-თებში და აქაც დავრწმუნდით, რომ ზურგი ჩვენ-ზედ ზრუნავს, გამუდმებით ფიქრობს, ეს თანა-გრძნობა ჩვენზედ დიდ გავლენას ახთენს და გვამ-ხნევებს. აქ ხშირათ ჩამოდიან დაფუძნებული ერობის წევრები და სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულე-ბების წარმომადგენლები საჩუქრებით. ჩვენ მხიარუ-ლათ ვართ და იმედიანის თვალით შევსცქერით მომავალს, მაგრამ ჩვენი სულიერი განწყობილება ხელ იცვლება, როდესაც გაგვახსენდება ჩვენი ყა-ნები, განსაკუთრებით ყანები. ოჯახის ნახვას ჩვენ მოვესწრებით, მაგრამ თუ ჩვენი ყანები ეხლა დაუ-მუშავებელი დარჩა, იმ შემთხვევაში მთელი წლის განმავლობაში შიმშილის რისხვა მოგველის.

ყანების დამუშავების შესახებ ჩვენ ფრონტზედ გურიიდან საიმედო ცნობები მოგვდის, ბევრს ეს არ სჯერა, იქვის თვალით უყურებს ასეთ ცნობებს, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სამაზრო ერობის გამგეობის და მისი უმცროსი ძმების—თემე-ბის ცდა უნაყოფოთ არ ჩაივლის და ჯარში გაწვე-ულთა ყანები დათესილი იქნება. ჩვენ დიდი იმედი გვაქვს ნორჩი თვითმართველ-ერთეულების მხნე და წინდახედული მუშაობას. სალამი გურულ გვარდი-ელების სახლით ჩვენ მშობლიურ კუთხეს—გურიას.

7 ივნისი მდ. ხრამი. მიხ. ბაჟუნაიშვილი.

*) ზავი უკვე შეიკრა აზერბეიჯან-საქართველოს შორის.

## გამგეობის დადგენილებიდან:

— დაევალოს სასკოლო განყოფილებას—მოახ-დინოს განკარგულება, რომ უმაღლეს პირველ და-წყებითი სასწავლებლების გამგეობებმა პერიოდუ-ლათ ადგინონ ერობის კასაში მათდამი რწმუნე-ბულ სასწავლებელთა სპეციალური თანხიდან შე-მოსული ფული; მომავალი სამოსწავლო წლიდან არც ერთ ისეთ სასწავლებელს არ მიეცეს ხვედრი ჯამაგირები, რომლებიდანაც არ იქნება ასეთი თან-ხები წარმოდგენილი.

— მიეცეს საფინანსო განყოფილებას უფლება განსაკუთრებულ შემთხვევაში მისცეს უმაღლეს დაწყ. სასწავლებლებს ჯამაგირების ერობის დამა-ტებით.

— დაინიშნოს რევიზია შემოქმედის, ჩოხატა-ურსა და ხიდისთავის თემთა გამგეობების; რევიზიის მოხდენა მიენდოს გამგ. წევრს გ. ბერეჟიანს და დ. თალაკვაძეს.

— შესაცვლელათ ა/წ. 9 თებერვლის დადგენი-ლებისა გადიდდეს ხე-ტყის საწარმოვო ქარხნის დადგმის ვადა 6 მარიამობისთვემდე 1920 წ.

— უარი ეთქვას ჩოხატაურისა და ოზურგეთის თემთა გამგეობებს მათ შუამდგომლობაში ამ თე-მების მოსამსახურეთა და გამგეობის წევრების სურ-სათ-სანოვაგით იმავე პირობებში მიცემის შესახებ, როგორც ეს ერობის მოსამსახურეებს ეძლევათ.

— სავაჭრო-სამრეწველო განყოფილებაში შემო-

ღებულ იქნას რეგისტრატორის შტატი.

— მიღებული იქნან ერობის სამსახურში და დაინიშნონ 1) ნიკოლოზ გიორგის-ძე პაჩხენკო უბნის აგრონომათ 1 მაისიდან ა/წ. 7.000 მან. ჯამაგირით თვეში; 2) ვლადიმერ ჩხაიძე—აკეთის პუნქტის მებაღეთ შტატით განსაზღვრული ჯამაგირით და 3) ვლ. ნიკ. პაკროსკი სამაზრო აგრონომის მოვალეობის აღმასრულებელათ 4.000 მან. ჯამაგირით თვეში.

— მიღებულ იქნას ერობის სამსახურში და დაინიშნოს სავაჭრო-სამრეწველო განყ. რწმუნებულათ სიმონ მიხეილის-ძე ურუშაძე ა/წ. 18 მაისიდან.

— ერობის თავმჯდომარე გაემგზავროს ქ. თფილისში საერობო საქმეებზე.

— მიღებულნი იქნან ერობის სამსახურში და დაინიშნონ ერობის ცენტრალურ საავადმყოფოში ა/წ. 1 ივნისიდან

— 1. ორდინატორათ ექ. ასათიანი დროებით.

— 2. ზედამხედველათ კონსტანტინე თავართქილაძე

— 3. ფერშლებათ: ილია ანდღულაძე და კესარია მჭედლაძე.

— 4. მოწყალე დებათ: ნინო ურუშაძე და მარო ტოტოჩავასი;

— 5. მესასტუმლეებათ: ნინო დოლიძე, ტასია ბრონიშიძე, მინადორა ტულუში და დომნა გორგოშიძე;

— 6 სანიტარებათ: კირილე დათუნაიშვილი და სიმონ ინწკირველი;

— 7. „კასტილიანშათ" ელენე მგელაძისა,

— 8. მზარეულათ—დიმიტრი დგებუაძე,

— 9. მეეზოვეთ—თედორე რიბალკინი,

— 10. მრეცხავებათ: მარ. ქავჯარაძე და მარ. სურგულაძე, საქმის მწარმოებელათ ზაქ. კალანდარიშვილი და მანქანით გადამწერათ თამარა ქარცივაძე—ყველანი შტატით განსაზღვრულ ჯამაგირით გარდა საქმის მწარმოებლისა, რომელსაც დაენიშნოს თვეში 3.500 მანეთი.

— მიღებული იქნას ერობის სამსახურში—ექიმი ა. კაზეროდს კი 29 მაისიდან ა/წ. რვა ათასი (8.000) მან. ჯამაგირით თვეში;

— ქრ. გორგოშიძე მეორე ხარისხის მოანგარიშეთ ბუხგალტერიაში 17 ამა მაისიდან შტატით განსაზღვრული ჯამაგირით:

— ჩოხატ. ოფთიაქის გამგის თანაშემწე მ. რამიშვილი განთავისუფლდეს სამსახურიდან 1 ივნისიდან ა/წ. თანახმად თხოვნისა.

— დაინიშნოს ჩოხატ. აფთიაქის გამგის თანაშემწეთ—მამალაძე 1 ივნისიდან ა/წ.

— მსახურებათ—საათფიაქო საწყობებში მიხ. რადიონოვი 10 მაისიდან ა/წ. და სამდივნოში—სიმონ იმედაშვილი 27 მაისიდან ა/წ.

— რეგისტრატორათ სავაჭრო-სამრეწველო განყ. ბელაგია კობალეიშვილისა 28 ამა მაისიდან;

— 1-ხარისხის მუშებათ სადურგლოში: იასონ თავართქილაძე 31 მაისიდან ა/წ.; ბესარიონ ჩიბურდანიძე—10 მაისიდან ა/წ.; ივლიანე კალმახელიძე—23 მაისიდან და რაჟდენ მუჯირი 1 ივნისიდან.

— მიეცეს კ. შავიშვილს 500 მანეთი იმ ხარჯების დასაფარავათ, რაც მან გასწია სად. ნატანებში ერობის საქმეებზე ხანგრძლივათ დარჩენის გამო.

— მიეცეს ქალაქ ოზურგეთის მილიციის მოხელეებს თითო ფუთი—სულ 16 ფ. სიმინდი ღალის ფონდიდან ერობის მოსამსახურეთათვის დაწესებულ ფასების თანახმათ.

— აქციზის მოხელეებს ნება დაერთოს სამსახურის საქმეებზე მოგზაურობის დროს ისარგებლონ ერობის ეტლით შემდეგ ფასებში: ერთი კაცის მგზავრობა ჩოხატაურამდე ერთი გზა—30 მან., ნატანებამდე 25 მანეთი.

ნება მიეცეს განათლების განყოფილებას ჯარში გაწვეულთა მაგიერ ბაჟანისა და ხიდისთავის სკოლებში დროებით დაიქირაოს მასწავლებლები.

— ნაშელაურის მეავე წყლები მიმდინარე სეზონზე მიეცეს იჯარით ყოფილ მეპატრონეებს ფასებში შეთანხმებით.

—ბუხგალტერიაში დროებით შემოღებული იქნას საღამოობით მუშაობა. რის გამოც საღამოს მომუშავეს მოანგარიშეებს მიეცეს კანონით განსაზღვრული ზედმეტი შრომის ფასი.

— დამტკიცდეს ჩოჩხათის თემის ხარჯ-აღრიცხვა 391882 მან. ბალანსით.

— მიღებული იქნას ზომები, რომ შეტანილ იქნას სახელმწიფო სასურსათო ფონდში ათასი მან. (1000) თვითეულ მოსამსახურეზე.

— დაკმაყოფილებული იქნას ს. ახალშენის (ხვარბეთის თემი) მცხოვრებთა შუამდგომლობა მათ მიერ ერობიდან სესხათ მიღებულ 200 ფ. სიმინდის გადახდის ვადის მომავალ შემოდგომამდე გაგრძელების შესახებ იმ პირობით, რომ ამ ვადაში ეს სესხი გასტუმრებული იქნება ხვარბეთის თემის გამგეობის საშვალებით.

— გამგეობის რწმუნებულს ქ. თფილისში ი. დვოროკოვსკის დაენიშნოს თვეში ექვსი ათასი (6,000) მან.

— სავაჭრო-სამრეწველო განყ. მოხსენება ქ. ოზურგეთში საერობო სავაჭრო-სასურსათო მაღაზიის გახსნის შესახებ მოწონებული იქნას და დაევალოს განყოფილებას საჩქაროთ მოაგვაროს ეს

საქმე.

— კობულეთიდან გადმოხვეწილ ქართველ მაჰმადიანებს აღმოუჩინოს დახმარება 30,000 მანეთით.

— აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა მთავრობამ გადასდოს ერობის განკარგულებაში საჭირო თანხა ამ ლტოლვილთა უზრუნველსაყოფად.

— მიღებული ცენტრალური საავადმყოფოს შემდეგი შტატები და ჯამაგირები 1 ივნისიდან ა/წ.:

1. ექიმი ქირურგი — 1
2. „ ტერაპევტი—2
3. ხელმძღვანელი 1 ჯამაგირი 5000 მან. თვეში
4. ფერშალი 2 ჯამაგირი 4000 მ. თვეში თვითეულს
5. მოწყალე და 3 ჯამაგირი 1500 მ. თვეში და ულუფა
6. მესასტუმლე 4 „ 1000 მ. „ „
7. სანიტარი 2 „ 1000 მ. „ „
8. მეაბანოე 1 „ 1000 მ. „ „
9. კასტელიანშა 1 „ 1300 მ. „ „
10. ბუფეტში მომუშავე 1 ჯამ. 1000 მ. „ „
11. მზარეული 1 ჯამაგირი 1300 მ. „ „
12. მეეზოვე 1 „ 1000 მ. „ „
13. ქურქლის მრეცხავი 1 ჯამაგირი 1000 მ. თვეში და ულუფა
14. თეთრეულების 1 ჯამაგირი 2500 მ. ულუფით
15. მაქანაზე გადამწერი 1 „ 2500 მ. „
16. საქმის მწარმოებ. 1 „ 3000 მ. „

— თვიურ ულუფის ფასი განისაზღვროს ათასი (1000) მანეთით.

— იმ მოსამსახურეს, რომელიც ამას ისურვებს და სამსახურის პირობებიც ხელს არ შეუშლის, უფლება მიეცეს ულუფის ფასი ფულად მიიღოს.

— საავადმყოფოს სარგებლობისათვის თვითეულ ავადმყოფზე დაწესდეს დღე და ღამეში ას ორმოცდა ათი (150) მანეთი.

— ავადმყოფთათვის დაწესდეს შემდეგი რაციონი: პური—$1\frac{1}{2}$ გირ., ხორცი—$\frac{1}{2}$ გ., ბრინჯი—24 მისხალი, მისართავი—8 მისხალი.

— საექიმო განყ. საქმის მწარმოებელი ირაკლი ბასილაია გადაყვანილ იქნას სათადარიგო ფერშლად 2 ივნისიდან ა/წ. ხუთი ათასი (5000) მან. ჯამაგირით თვეში დროებით საექიმო განყ. საქმის მწარმოებლად დატოვებით.

— ფერშალ პრ. ბერძენიანს გაუგრძელდეს თავისუფლება უჯამაგიროთ 4 თვით.

## თემთა დადგენილებიდან.

### აცანის თემი.

— დამტკიცებულ იქნას გასული სეზონის ანგარიში.

— გამორიცხულ იქნას წრიდან: 1) ტუსკია ქსენია, 2) ჩხაიძე ალექსანდრე (ბიჭიკო), 3) ლომრაძე კალისტრატე, 4) ჩხაიძე არონ და 5) ლომთარაძე აკაკი.

— მიღებულ იქნას წრეში: 1) ჩხაიძე თამარა, 2) ჩხაიძე იორდანე, 3) ჩხაიძე ითინოგე, 4) მგელაძე ვლადიმერ, 5) მგელაძე სამსონ, 6) ჩხაიძე ვასილ, 7) ჩხაიძე ალიოშა, 8) ქანთურიშვილი ანეტა, 9) ქანთურიშვილი გრიგოლ და 10) ჩხაიძე პროკოფი.

— არჩეულ იქნან გამგეობაში ახალი სეზონისთვის: 1) ჩხაიძე შამშე, 2) მალაზონია ნესტორ და 3) ქანთურიშვილი სევასტი; მათ კანდიდატებათ: 1) ჩხაიძე შუშანიკა და 2) ჩხაიძე ნინა.

— არჩეულ იქნან სარევიზიო კომისიაში: 1) ჩხაიძე რაფიელ დიმიტრეს ძე, 2) ჩხაიძე იორდანე ნიკიფორეს ძე და 3) ქანთურიშვილი გრიგოლ გიგოლოს-ძე.

— დამტკიცებულ იქნას რეჟისორად გიორგი ხოსოს-ძე ჩხაიძე.

— არჩეულ იქნას პასუხისმგებელ კორესპონდენტად არისტარხო ნიკიფორეს-ძე ჩხაიძე

— შეტანილ იქნას წრის წესდებაში, როგორც დამატებითი მუხლი შემდეგი: „როგორც რეპერტუარის, ისე დასის შედგენა (სეზონისათვის) ევალება გამგეობას რეჟისორთან ერთად თითოეული წევრის პირადი სურვილის განცხადებით. შენიშვნა: სასურველია დასის შედგენა ხდებოდეს სცენის მოყვარეთა საერთო კრებაზე“.

### საჭომიასერის თემი.

— ვინაიდან პირველ-დაწყებით შენობებიდან ერთი მათგანი ძრიელ დაზიანების გამო ასაშალი და ხელახლად ასაგებია, რაიც გამოიწვევს საგრძნობელ ხარჯებს და ამავე დროს ადგილობრივი საექიმო პუნქტის შენობა ითხოვს გადიდებას ცხრა თვალამდე—ამისათვის საბჭო საჭიროდ სცნობს აღნიშნული შკოლის შენობა აიშალოს დაზიანების გამო და გადმოტანილ იქნას საექიმო პუნქტთან მის მოსახმარებლად. მის მაგიერ მოსავალი სამოსწავლო წლიდან იქნას მოწყობილი შესაფერი შენობა და ბინა მოწაფეებისათვის, რაიც წინასწარ ეცნობოს სწავლა განათლების გამგეს ცენტრში.

2

— ღებულობს რა მხედველობაში ადგილობრივი მოსამსახურე პირების, როგორიც არიან მასწავლებლები, ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურენი, საექიმო პერსონალის და სხვების უკიდურეს მძიმე ცხოვრების პირობებს სურსათის უქონლობის გამო, ადგენს: გამგეობის მიერ აღძრულ იქნას შუამდგომლობა სამაზრო ერობის წინაშე, რათა მან ამ მხრივ მოაწყოს სანოვაგის ნაწილება ასეთ მოსამ-

სახურეებისათვის დათმობილ ფასებში, ამავე დროს ადგილობრივ თემის სოფლებში მიეცეთ მათ საშუალება შეიძინონ მცხოვრებთათვის რაც შეიძლება შეღავათიან ფასებში სანოვაგე. თემის გამგეობამ აღძრას შუამდგომლობა სამაზრო ერობის წინაშე, რათა უკანასკნელის ნებართვით განაწილებულ იქნას მოსამსახურეებზე უკვე მოგროვილი ფონდის სიმინდი ადგილობრივად.

3

— რაც შეიძლება დაჩქარებით იქნას გახსნილი ადგილობრივ საექიმო პუნქტთან აფთიაქი; აფთიაქი გაიხსნას საზოგადოების თემის სახელით და არა კოოპერატიულ ნიადაგზე. ამ საჭიროებისათვის ეხლავე გადაჭრონ თემს ასი ათასი 100,000 მანეთი, რომლის სისრულეში მოყვანა, ფულების გაწერის, აკრების და ტეხნიკური მხარეების გამომუშავება მიენდოს გამგეობას.

4

— არსებული წვრილი კრედიტის ამხანაგობა გადაკეთდეს და მოეწყოს ახალი კოოპერატიული ბანკის წესზე.

5

— დარაჯის დაყენების შესახებ მიენდოს გამგეობას თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, პირობების მიხედვით, დაიქირაოს მან დარაჯი.

6

— ვინაიდან ცხოვრების პირობების თანდათანობითი გაძვირება აუცილებლად ხდის ჯამაგირების გადიდებას, მაისიდან ჯამაგირები გამგეობის თავმჯდომარეს და მდივანს გაუდიდდეს ოთხი ათას მანეთამდე თვიურად, ე. ი. მდივანს—ოთხი ათასი (4,000) მანეთი და თავმჯდომარეს—ოთხი ათასი ათასი (4000) მანეთი.

7

— საძოვარი მთის იჯარით ასაღებათ მიეცეს სათანადო მოწმობა ჩინო ქკუასელს, აგრეთვე გამგეობის შეხედულებით სხვა პირებსაც.

## საექიმო განყოფილებიდან.

## II.

(გაგრძელება.)

იმ ქვეყანაში, სადაც კულტურის სხივს უკვე შეუნათებია, არა თუ ემონებიან ბუნების მოვლენას, პირიქით იმორჩილებენ და ბატონობენ მაზე. საქართველოში აგერ ორი წელიწადია აგუზგუზდა დროებით მიმქრალი კულტურის ჩირაღდანი და მისი თვალის მწველ სხივების ცქერას ვერც ერთი ქართველის მტერი ვერ გაუძლებს.

1913 წელში ჩვენში ბევრს ლაპარაკობდენ სამელიორაციო ბანკის შესახებ. ეს ბან[illegible] ვცდები, ქუთაისში უნდა დაარსებულიყ[illegible] ვიხდი მკითხველთან, რომ არ შემიძლია დაწვრილებით მოვახსენო მას ამ ბანკის ისტორია, ვინაიდან იმ ცნობებიდან, რომელიც ამ საგანზე 7—8 წლის წინეთ წამიკითხავს გაზეთებში, მხოლოდ მოგონებათა მკრთალი ნაწყვეტები შემრჩენია მეხსიერებაში. გადაჭრით ვიცით, რომ ამ ბანკის დაარსების იდეა ქართველ საზოგადოებას ეკუთვნოდა და დიადი მიზანიც ქონდა მას დასახული; მაგრამ დაუსრულებელმა ომმა ამ საქმეს ჯერჯერობით ჯვარი დაუსვა, ყოველ შემთხვევაში მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მთავრობა პირველ შემთხვევისთანავე დაუბრუნდება ამ საკითხს, რადგანაც ამას დაჟინებით მოითხოვს საქართველოს ინტერესები. ჭაობების ამოშრობით, გარდა იმისა, რომ სახალხო ჯანმრთელობის საქმეს მტკიცე საძირკველი ჩაეყრება, ჩვენი ქვეყნის ღარიბ სახნავ-სათეს ფონდს კიდევ შეემატება თვალუწვდენელი მსუქანი მინდვრები. ამ საქმესთან ერთად დაკავშირებულია კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი: (აკი მოგახსენეთ, ჩვენი ცხოვრების რგოლები ერთი მეორეზეა გადანასკვული მეთქი!)—გადასახლების მოწყობა ჩვენში. რაჭაში, სვანეთსა და მთიულეთში მიწის სივიწროვე დიდ საგონებელში აგდებს ხალხს და, თუ მათი მდგომარეობა დროზე არ იქნება გამოსწორებული, ჩვენი მტკიცე ნების ყოჯის მქონე ძმებს უსათუოთ ფიზიკური გადაშენება მოელით. მოიგონეთ თავისუფალი სვანეთის ჩვეულება ახლად დაბადებული მდედრობითი სქესის ბავშთა სისტემატიური ხოცვა, აგრეთვე მთიულების შარშანწინდელი მასსიური გადასახლება ბოლშევიკურ კავკავში ლუკმა პურის საძიებლათ. ეს უკანასკნელი გარემოება ფრიად დამაფიქრებელია. ჩვენ უკვე ვიცით, როგორ წყდება ერის ბედი, როცა ის თავის ქვეყნის გარეშე ეძებს ხსნას. ამის საუკეთესო მაგალითი სომხები და ბერძნებია, რომელნიც კალიებივით მოეფინენ სხვის მიწა-წყალზე და ბედნიერების ნაცვლად დაკნინება და დამცირება ჰპოვეს. ასეთ გზას ჩვენ ვერ გავყვებით, მაგრამ საქართველოს ერთი კუთხიდან მეორეში გადასახლება სრულიადაც არ ნიშნავს სამშობლოდან გადახვეწას. აქ მაგონდება პოეტის სიტყვები: „ბარად რომ მომცე დიდება, ქონება უთვალავია, არა ვინდომო ესენი, არ მოკვდეს ჩემი თავია“.

მართალია, ბარის ეშინია მთიულს, მაგრამ ეშინია მანამდე, სანამ იქ მალარია მძვინვარებს. თუ ამ უბედურებას თავიდან მოვიშორებთ (ჭაობების ამოშრობით), მაშინ ბარიც საყვარელი სამშობლო იქნება მთიულის. რაჭაში ხალხი მთავრობას

ვმუდარება, სადმე გადავვასახლოთ. მთავრობასაც მათთვის ყარაიაზი მიუჩენია, მაგრამ რაჭველები მალარიის შიშით ვერ ბედავენ იქ წასვლას და იხვეწებიან: კახეთის ჰაერს უფრო ავიტანთ და იქ დაგვაბინავეთო. არსებობისათვის ბრძოლა, ალბათ, ამაც ნებასაც იმორჩილებს, თორემ ვისაც რაჭის მშვენიერი ბუნება უნახავს, ადვილათ წარმოიდგენს, თუ რას უნდა გრძნობდეს თვითეული რაჭველი, როცა ის ეთხოვება ნაძვ-ფიჭვნარით ქობა შემოვლებულს და მწვანეთ აფოთლილს სამშობლო რაჭას.

შესაძლებელია თუ არა ჭაობების ამოშრობა?

1872 წ. ევროპის რუსეთში, სადაც ჭაობებს რვა მილიონი დესეტინა სივრცე უკავია, ღენერალ ჟილინსკის პროექტით შეუდგენ ჭაობების ამოშრობის საქმეს. ამ მიზნით გაამაგრეს მდინარეების ნაპირები, გაიყვანეს 4,367 ვერსის მანძილზე არხები, გააკეთეს არტეზიანული ჭები და სხ. ამ დიდ საქმეზე იმ დროში დაიხარჯა ხუთი მილიონამდე. (ნახეთ „Большая Энциклопедія-Полѣсье“). შესაძლებელი იყო სრულიათ ამოეშროთ მთელი რუსეთის ჭაობები, მაგრამ აქ გაჩნდა ერთი ჯგუფის მიმართულება, რომელმაც უარყოფითი მხარე დაინახა მასში. საქმე იმაშია, რომ რუსეთში ბევრი შესანიშნავი მდინარეების სათავე ხშირათ ამ ჭაობებში იწყება და სავსებით მათ გამოშრობაში წყლების მოსალოდნელი ნაკლებობა განსჭვრიტეს. მიუხედავათ ამისა, მიწის ფასი იმდროს რუსეთში შვიდჯერ გაიზარდა. ჩვენი ქვეყნის შესახებ უნდა ითქვას, რომ ჭაობების ამოშრობის საქმეს აქ ვერავითარი დამაბრკოლებელი იდეა ვერ დაუპირდაპირდება: ჩვენი მდინარეები ჭაობებით არ საზრდოობენ; ისინი ანკარა ნაკადით სჩქეფენ მთებში და იქიდან ჩქრიალათ მიედინებიან ბარში. ჩვენმა ერობამ ამ საქმეში ერთი საყურადღებო ნაბიჯი უკვე გადადგა: მან სერიოზულათ მოჰკიდა ხელი მდინარე რიონის ნაპირების გამაგრებას და, როცა ერობა ამ საქმეს შეასრულებს, უეჭველათ გურიის ბუნება და ხასიათი დადებითად შეიცვლება. ხმოსანთა ყრილობამ ა. წ. 20 აპრილს მოისმინა გამგეობის წევრის ბ. ქავთარაძის მოხსენება და გაეცნო ყველა იმ მუშაობას, რომელსაც ერობის გამგეობა აწარმოებს ამ საგანზე. ხალხიც დარწმუნებულია იმაში, რომ აქ მართლაც საშვილიშვილო საქმე კეთდება და უყოყმანოთ იხდის ამ საქმისათვის უდიდეს ხარკს-ნატურალურ ბეგარას.

მინდა ყურადღება მივაქციო თვით ნატურალურ ბეგარის შემოღებულ სისტემას. როგორც ბ. ქავთარაძემ განაცხადა, რიონის ნაპირების გამაგრებაში მონაწილეობას ღებულობენ ის სოფლები, რომელნიც სარგებლობენ მდინარე რიონის პირას მდებარე საყანე ადგილებით, უმთავრესათ [illegible]-ლანჩხუთის რაიონები და სენაკის მაზრიდან: [illegible] საკოვო, სუჯუნა, მარანი და კვათანა [illegible] რომ აქ უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც მთელი გურიის, ისე სენაკის და ქუთაისის მაზრების ძალებიც. საერთო ინტერესები მოითხოვს ამას, თორემ ისე, რა საკვირველია, გურიის ერობის უფლებაში არ შედის სხვა მაზრის მცხოვრებთა ამა თუ იმ მიზნით დაბეგვრა. მდინარე რიონისათვის ამავე სახელწოდების სადგურიდან დაწყებული ზღვაში შერთვამდე არ არსებობს მცირედიც კი ბუნებრივათ გამაგრებული ნაპირები. თვით მდინარის კალაპოტიც ცვალებადია; მიწის მუშამ არ იცის, ხვალის თუ არა მდინარე ჭირნახულის აღებას, თუ ის შარშანდელივით მოვარდება და შეუბრალებლათ აუოხრებს ყანა-ბაღებს. ნაპირიდან გადმოვარდნილი მდინარე მინდვრებში სტოვებს შლამს და წყალ-ტალახით სავსე გუბეებს, რომლის შემდეგ ანოტიოვებს ჰაერს და საზოგადოთ ქმნის ანტისანიტარულ პირობებს—ჭაობებს. ჭაობის გახრწნილ ჰაერთან ერთად ქარს გადააქვს მაზრის სხვა ნაწილებში ჭაობისვე ბაქტერიები, რომელნიც სხვათა შორის ავრცელებს იმ სენს, რომელსაც ეწოდება მალარია. (*Mala aria*—იტალიანური სიტყვაა და ნიშნავს ჭაობის ჰაერს).

უკვე დაწყებულ საქმეს უნდა მოჰყვეს მეორე: საჭიროა ჭაობებში აღმოცენებული ტყის განადგურება. რომ ტყეს დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოთ და ჯანმრთელობისათვის განსაკუთრებით, ამაზე, შეიძლება, შემდეგი ჩვენი აზრი მოცლილ მკითხველს გაუზიაროთ, ხოლო ტყე, რომელიც ჭაობებში იზრდება, აუცილებლათ უნდა გაიწმინდოს და გაიბაროს. ან რას წარმოადგენს ჭაობის ტყე: თხმელა, ლაქაშა, ჭილოფა, ბარდი, ეკალი და სხვა ამგვარი უსუსური მცენარეულობა? ამათი გაჩეხვა, რომ ჭაობებს ამოაშრობს, ამის მაგალითი გურიაშიც გვაქვს: ამ ოცდა ათი-ორმოცი წლის წინად ბაყაყების და ქვეწარმავალის სამეფო—უნაგერანი, სადაც ჭაობის უფსკრულში ჩაფლობის შიშით გზათ გავლაც კი სახიფათო იყო. დღეს ამ ადგილას დაბინავებულია გურიის სხვა და სხვა კუთხეებიდან ჩამოსული 400 კომლამდე მოსახლეობა და სოფელიც (უნაგერა) ერთი შესანიშნავი ცენტრია გურიის. საქმე იმაშია, რომ აქ ხალხმა კულტურის ნაპერწკალი გადაისროლა: გაჩეხა ტყე, გაიყვანა თხრილები, გზები, საწვრეტები და სხ... ჩვენებური უხეირო ტყის ნაცვლად ჭაობებიან ადგილებში შესაძლებელია და უკვე ნაცადიც არის, სუბტროპიული მცენარეების მოშენება, რომელნიც, გარდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმასა, რომ დიდ შემოსავალს აძლევენ მეურნეებს, ხელს უყობენ ნიადაგის გაჯანსაღებას. არის აგრეთვე ერთი მცენარე—ევკალიპტუსი, რომელიც მშვენივრათ იგუებს ჩვენებურ ჰავას და ძალიან ადვილათაც შენდება. ეს ხე აშრობს ჭაობებს, ასუფთავებს ჰაერს და ამიტომ დიდათ სასურველია მათი მოშენება ჩვენში ჩვენებური მავნე თხმელების მაგიერ. ამ მცენარეს კიდევ სამკურნალო თვისებაც აქვს: აფთიაქებში ფოთლებზე წვეთებს აყენებენ, ან კიდევ ფოთლების ნახარშს ხმარობენ სასმელათ მალიარის წინააღმდეგ. მოშენება ამ მცენარისა შესაძლებელია ისე როგორც თუთის (ბჟოლის ხის:) დათესვით და შემდეგ გადარგვით.

და ბოლოს ერთს მართალს ამბავს მოგახსენებთ. ერთს მეღვინეს სახელი ჰქონდა გავარდნილი კარგი ღირსების ღვინოებით. სიკვდილის პირას მიმდგარმა შვილს საიდუმლოება ასწავლა და უთხრა: „კარგი ღვინო გამოდის ვაშლიდან, ბალიდან და [illegible]., ხოლო თუ ესენი ვერ იშოვო, უკიდურეს შემთხვევაში, ყურძნის წვენითაც შეიძლება გაკეთდეს გვარიანი ღვინო“-ო. მეც გეტყვი: ჭაობის ამოშრობა შეიძლება მდინარის ნაპირების გამაგრებით, ტყის გაჩეხით, სუბტროპიკული მცენარეების მოშენებით, მდინარის კალაპოტის გაწმენდა-გაღრმავებით, ჭაობებშივე არხების და.... თიხის მილების—დრენაჟის გაყვანით. ამიტომ მე ღრმათ ვარ დარწმუნებული, რომ ერობის გამგეობის ინიციატივით და ფართე საზოგადოების თანაგრძნობით გატარებული იქნება ცხოვრებაში ყველა ის ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველ-ჰყოფენ ჩვენს ჯანმრთელობას და, თუ დღეს საექიმო განყოფილების ავათმყოფობათა მსვლელობის ცნობებში ათასობით იწერება მალარიით დასნეულებულთა რიცხვი, მოვა დრო და ამ სენზედაც ისეთი მოგონება დარჩება, როგორიც ზღაპრულ ალისფერ სიკვდილზე.

ი. ბ.

## ოზურგეთის სამაზრო საერობო მეოთხე მორიგი ყრილობა.

(მოკლე ანგარიში.)

10. წარმომადგენლების არჩევა სარწყავთ და შემოსავლის კვალობაზე გადასახადთა სამაზრო საკრებულოებში

სხდომის გახსნისას ყრილობამ, მოისმინა რა მოხსენება გამგეობის თავმჯდომარისა, დაადგინა: არჩეულ იქნან ერობის წარმომადგენლებათ ოზურგეთის სამაზრო სასარწყავო საკრებულოში—ამფილოგე ღლონტი და კოტე დანელია,—შემოსავლის კვალობაზე გადასახადთა საკრებულოში-კი - ნიკოლოზ საბაშვილი და სიმონ ცხომელიძე.

11. გამგეობის წევრთა შორის განყოფილებათა განაწილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის თავმჯდომარე ს. ჭანტურიშვილი მოახსენებს ყრილობას შემდეგ პროექტს გამგეობის წევრთა შორის განყოფილებათა დანაწილებისას:

1. გამგეობის თავმჯდომარის ს. ჭანტურიშვილის გამგებლობაში შედის საექიმო და ადმინისტრატიული განყოფილებები;

2) თავმჯდომ-რის ამხ. გ. ბერეჟიანის გამგებლობაში—საფინანსო და სტატისტიკური,

3) გამგეობის წევრის კ. ქავთარაძის—აგრონომიული სამეითლო ნაწილით, საადგილ-მამულო და სატეხნიკო;

4) გამგეობის წევრის შ. ჭოჭუას—საგზაო-სამრეწველო და

5) გამგეობის წევრის პ. კვირკველიას—კი სახალხო განათლებისა და სამხედრო.

ყრილობა უკამათოთ და ერთხმათ ადასტურებს ამ განაწილებას.

12. გაზეთის „გურიის ერობის მოამბე“-ს შესახებ.

გამგეობის თავმჯდომარე ს ჭანტურიშვილი მოახსენებს ყრილობას გაზეთ „გურიის ერობის მოამბი“-ს გამოცემის შესახებ. ის ამბობს თავის მუშაობის დროს ერობის გამგეობა დარწმუნდა, რომ მისთვის აუცილებელ საჭიროებას შე ადგენდა ისეთი ორგანოს გაჩენა, რომლის საშუალებით მას შეეძლებოდა უფრო ცოცხალი დამოკიდებულება დაეჭირა თემთან, ვიდრე კანცელარიული მიწერ-მოწერა არის. ასეთი ორგანო გამგეობამ კიდევაც გაიჩინა,—1 იანვრიდან მიმდინარე წლისა მან დაარსა ყოველ კვირეული გაზეთი „გურიის ერობა“-ს სახელწოდებით. გაზეთმა უკვე მოიპოვა საკმაო სიმპატია თემებში ამ გაზეთის საშუალებით მტკიცდება ერობის იდეა ხალხში, ეცნობა ხალხი სამაზრო ერობისა და თემების მუშაობას, ღებულობს საჭირო ცნობებს პრაქტიკული საკითხების შესახებ და სხ.

ზემოაღნიშნულის გამო ერობის გამგეობა სთხოვს ყრილობას დაადასტუროს გამგეობის მიერ გადადგმული ნაბიჯი გაზეთი „გურიის ერობის მოამბეს“ გამოცემის შესახებ.

თავმჯდომარის წინადადების თანახმათ ყრილობა ამ საკითხის არსებითად განხილვამდე ისმენს ხსენებული გაზეთის ხარჯთ-აღრიცხვას, რომლის ბალანსი გამოიხატება 256.080 მან. 205.680 მან. დეფიციტით.

ყრილობა ერთხმათ ადგენს: დადასტურდეს გამგეობის მიერ გადადგმული ნაბიჯი ყოველ-კვირეული საერობო გაზეთი „გურიის ერობის მოამბე“-ს დაარსების შესახებ და დამტკიცდეს ამ გაზეთის 1920 წ. ხარჯთ-აღრიცხვა.